

ლაშა ცერცვაძე იურიდიული ფირმა კოლიერს ლეგალის (Colliers Legal) მმართველი პარტნიორია, კოლიერს ლეგალის დაფუძნებამდე 2015 -2021 წლებში იგი იურიდიული ფირმა ეფ ელ ეს -ის (FLS Full Legal Service) - ის მმართველი პარტნიორი იყო. 2020 წლიდან არის საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის იურიდიული კომიტეტის წევრი. 2007 წლიდან არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. 2006 -2011 წლებში ლაშა ცერცვაძე იკავებდა უფროსი იურისტის პოზიციას სს სილქ როუდ ბანკში, ხოლო 2012-2015 წლებში იყო პრობლემური აქტივების მართვის დეპარტამენტის უფროსი და ხელმძღვანელობდა სასამართლო და სააღსრულო მხარდაჭერის, პრობლემური აქტივების მართვის და ბანკის მიერ დასაკუთრებული აქტივების რეალიზაციის განყოფილებებს.

პრატიკული და საადვოკატო საქმიანობის პარალელურად, ლაშა არის აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ლაშა აგრეთვე არის გერმანიის თანამშრომლობის ფონდის (GIZ) და აღმოსავლეთ დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, კანონის უზენაესობა საქართველოში (USAID, East West Management Institute, PROLoG ) მხარდაჭერით განხორციელებული საკორპორაციო სამართლის რეფორმის ფარგლებში შემუშავებული პროგრამის თანავატორი და ტრენერი. 2022 წლიდან, არის მენარმეთა შესახებ საქართველოს ახალი კანონის სარედაქციო ჯგუფის წევრი.

2011 წელს გახდა გერმანელი ბიზნესმენის, იოაჰიმ ჰერცის, სახელობის ფონდის, სტიპენდიანტი და მიიღო სრული დაფინანსება 22000 ევროს ოდენობით, ბუცერიუსის სამართლის სკოლაში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლისათვის. ხოლო 2014 წელს მაქს პლანკის საერთაშორისო კერძო სამართლისა და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის (გერმანია), ახალგაზრდა მეცნიერთათვის განკუთვნილი სტიპენდიის ფარგლებში წარმატებით მუშაობდა დისერტაციაზე.

ლაშას დამთავრებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ის ასევე ფლობს ბუცერიუსის სამართლის სკოლის სამართლის და ბიზნესის მაგისტრის ხარისხს. (Master of Law & Business, Bucerius Law School & Who-Otto Beisheim School of Management ). 2015 წელს მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია საკორპორაციო სამართალში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და გახდა სამართლის დოქტორი.

ლაშა არის არაერთი სამეცნიერო სტატიის და დირექტორთა ვალდებულებების შესახებ მონოგრაფიის ავტორი, ასევე საკორპორაციო სამართლის სახელმძღვანელოს (USAID/JILEP) და სახელშეკრულებო სამართლის სახელმძღვანელოს თანაავტორი.(GIZ) სამუშაო ენები: ქართული, რუსული, ინგლისური.